

შპს "აგრომაქს დეკორი" - 426522337

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,  
რომლიც დასრულდა 2020 წლის დეკემბრის  
ბოლოს.

A handwritten signature in blue ink is written over a circular blue ink stamp. The stamp contains the text "AGROMAX DECOR LTD" and some smaller, less legible text around the perimeter.

შპს "აგრომაქს დეკორი "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                            | შენიშვნა | 2020                | 2019                |
|--------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 811 576,72          | 652 077,82          |
| არამატერიალური აქტივები                    | 5        | 5 959,30            | 6 259,68            |
| საინვესტიციო ქონება                        | 10       |                     |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>817 536,02</b>   | <b>658 337,50</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტ      | 6        | 318 133,41          | 447 355,51          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7        | 722 169,81          | 488 227,76          |
| მარაგები                                   | 8        | 1 314 608,71        | 371 709,75          |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |          | 5 101,00            |                     |
| ბიოლოგიური აქტივი                          |          | 4 237 853,40        | 4 237 853,40        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>6 597 866,33</b> | <b>5 545 146,42</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>7 415 402,35</b> | <b>6 203 483,92</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |          |                     |                     |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 531 862,60          | 531 862,60          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |          | 6 194 062,81        | 5 255 984,68        |
| გადაფასების რეზერვი                        |          |                     |                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>6 725 925,41</b> | <b>5 787 847,28</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9        | 689 476,94          | 406 643,79          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          |                     | 8 992,85            |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>689 476,94</b>   | <b>415 636,64</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>689 476,94</b>   | <b>415 636,64</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>7 415 402,35</b> | <b>6 203 483,92</b> |

შენიშვნა-8

## მარაგები

| ლარში                  | 12/31/2020          | 31/12/2019       |
|------------------------|---------------------|------------------|
| ნედლეული               | 181 083,80          | 50 194           |
| დაუმთავრებელი წარმოება | 13 550,54           | 13 550           |
| ბიოლოგიური აქტივი      | 4 237 853           | 4 237 853        |
| სხვა მარაგები          | 1 119 975,00        | 307 965          |
|                        | <u>5 552 462,34</u> | <u>4 809 563</u> |
| Check                  |                     |                  |

შენიშვნა-7

## სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                    | 12/31/2020        | 31/12/2019     |
|------------------------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები   | 799 511,24        | 563 923        |
| საექვო ვალუტის ანარიცხების რეზერვი | -108 588,00       | (104 987)      |
| წინასწარ გადახდილი გადასაადები     | 5 101,00          |                |
| სხვა მოთხოვნები                    | 31 246,66         | 29 291         |
|                                    | <u>727 270,90</u> | <u>488 228</u> |
| Check                              |                   |                |

შენიშვნა-6

## ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

| ლარში                    | 12/31/2020     | 31/12/2019     |
|--------------------------|----------------|----------------|
| ფული სალაროში            | 22 671,13      | 8 442          |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 295 462,28     | 438 914        |
|                          | <u>318 133</u> | <u>447 356</u> |
| Check                    |                |                |

შენიშვნა-9

## სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

| ლარში                      | 12/31/2020        | 31/12/2019     |
|----------------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები      | 593 326,66        | 335 063        |
| გადასახელი ხელფასები       | 89 399,69         | 69 423         |
| საგადასახადო ვალდებულებები |                   | 8 993          |
| სხვა ვალდებულებები         | 6750,59           | 2 157          |
|                            | <u>689 476,94</u> | <u>415 637</u> |

შპს "აგრომაქს დეკორი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020  
წლის დასრულებული წლისათვის  
(ლარში)

|                                      | შენიშვნა  | 2019             |
|--------------------------------------|-----------|------------------|
| ამონაგები                            | <u>12</u> | 3 632 317        |
| თვითღირებულება                       | <u>13</u> | (1 861 290)      |
| <b>საერთო მოგება</b>                 |           | <b>1 771 028</b> |
| სხვა შემოსავლები                     |           | 37 011           |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი      | <u>16</u> | (712 808)        |
| მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები | <u>14</u> | (77 848)         |
| სხვა ხარჯები                         | <u>15</u> | (3 583)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |           | <b>1 013 798</b> |
| ფინანსური შემოსავალი                 |           |                  |
| ფინანსური ხარჯი                      | <u>17</u> | (75 720)         |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება        |           |                  |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |           | <b>938 078</b>   |
| მოგების გადასახადი                   | <u>18</u> |                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                 |           | <b>938 078</b>   |
| სხვა სრული შემოსავალი:               |           |                  |
| გადაფასების რეზერვი                  |           |                  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>      |           | <b>938 078</b>   |

შენიშვნა-12

## ამონაგები

|                             |            |
|-----------------------------|------------|
| ლარი                        | 31/12/2019 |
| შპს პროდუქციის რეალიზაცია   | 3 516 192  |
| ნედლეულის რეალიზაცია        | 116 126    |
| მომსახურების რეალიზაცია     | 37 011     |
| სხვა ასაოპერაციო შემოსავალი | 3 632 317  |
| Check                       | -          |

შენიშვნა-13

## თვითღირებულება

|                               |            |
|-------------------------------|------------|
| ლარი                          | 31/12/2019 |
| შპს პროდუქციის თვითღირებულება | 1 838 437  |
| ნედლეულის თვითღირებულება      | 22 853     |
| მომსახურების თვითღირებულება   | 1 861 290  |
| Check                         | -          |

შენიშვნა-14

## მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

|                                 |            |
|---------------------------------|------------|
|                                 | 31/12/2019 |
| სარეკლამო ხარჯები               |            |
| საწვავის ხარჯი                  | 41 894     |
| სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი | 4 000      |
| რეალიზაციის დანახარჯები         | 31 955     |
|                                 | 77 848     |
| Check                           | -          |

შენიშვნა-15

## სხვა ხარჯები

|                    |            |
|--------------------|------------|
| ლარი               | 31/12/2019 |
| ქონების გადასახადი | 3 583      |
|                    | 3 583      |
| Check              | -          |

შენიშვნა-16


## ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                           |            |
|-------------------------------------------|------------|
| ლარი                                      | 31/12/2019 |
| შრომის ანაზღაურება                        | 556 839    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | 82 749     |
| ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი | 30 073     |
| საკონსულტაციო ხარჯი                       | 3 810      |
| ბანკის მომსახურება                        | 25 076     |
| დაზღვევის ხარჯი                           | 5 845      |
| ნოტარიუსის .თარგამნის ხარჯი               | 692        |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                | 4 569      |
| კომუნიკაციის ხარჯები                      | 3 157      |
|                                           | 712 808    |
| Check                                     | -          |

შენიშვნა-17

## ფინანსური ხარჯი


|                 |            |
|-----------------|------------|
| ლარი            | 31/12/2019 |
| საკურსო სხვაობა | 75 720     |
|                 | 75 720     |



შპს "აგრომაქს დიკორი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
(ლარში)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|------------------|
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>531 863</b>        |                        | <b>5 255 984,68</b>     | <b>5 787 848</b> |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | 938 078                 | 938 078          |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                     | -                      |                         | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | -                      |                         | -                |
| გაცემული დივიდენდი            | -                     | -                      |                         | -                |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      |                       |                        |                         |                  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>531 863</b>        | -                      | <b>6 194 063</b>        | <b>6 725 926</b> |
| შემოწმება, 2019               | 0                     | -                      |                         |                  |
| შემოწმება, 2020               | 0                     | -                      |                         |                  |



## შპს აგრომაქს დეკორის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრომაქს დეკორი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 426522337 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: გარდაბნის რაიონი სოფელი სართიჭალა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით, სასუქებით, შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, შერეული სოფლის მეურნეობა.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 95% იანი წილის მფლობელი ვოიცეხ არტურ გრაბჩევსკი და 5 % სერგეი ზარემბო.

კომპანიის დირექტორია ვოიცეხ არტურ გრაბჩევსკი -3/ნ 01101123308  
2020 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 37 ადამიანი.

### 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

#### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;


#### მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

#### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

##### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.



(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8677 | 3,2095 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,2766 | 4,0233 |

**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:**

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

**ტერმინების განმარტებები:**

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

**ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

### **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც

საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნაწილში ნაჩვენებია ბიოლოგიური აქტივი. ბიოლოგიურ აქტივი წარმოდგენილია ექსტერიერის დეკორატიული მცენარეებით. ბიოლოგიური აქტივის გადაფასება ხორციელდება წლის ბოლოს რეალური ღირებულებით.

#### ძირითადი საშუალებები

##### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

##### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;  
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| ნაგებობები                | 15-20                                |
| მანქანა-დანადგარები       | 5-10                                 |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 5-10                                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 3-5                                  |
|                           | 30-50                                |
| ელექტრო მოწყობილობები     | 5-10                                 |

### აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

### სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.  
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მოწოდებიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მიწოდების და მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსადები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.  
მოგება—ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.  
თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის

თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.  
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები  
2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება  
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად  
დამტკიცებულია 2023 წლის 9 თებერვლით

დირექტორი:



დირექტორი: